ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4389650

ნომერი: AR1662888

თარიღი : 20.02.2019

გაცემის თარიღი : 06.03.2019

გაცნობის თარიღი : 06.03.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილის , N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ესიავა პ/ნ 01024008854
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 37 ბ. 34

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 3 ივნისის №804 დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 20 თებერვლის AR1662888 განცხადებით მომართა ლევან ესიავამ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 3 ივნისის №804 დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, მიწის ნაკვეთის ახალი საკადასტრო გეგმის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 3 ივნისის №804 ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ყოფ. მეაბრეშუმეობის სამეც/კვლევ. ინსტიტუტის ტერიტორიაზე (ნაკვ. #013/416) #01.72.14.013.416 (343 მ2) საკადასტრო

კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა ##01.72.14.013.416; 01.72.14.013.417 საკადასტრო ერთეულების გაერთიანება. რის შედეგადაც შეიცვალა მიწის ნაკვეთის კოდი, კონფიგურაცია და ფართობი. დღეის მდგომარეობით, განმცხადებელი ითხოვს ქალაქ თბილისის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 3 ივნისის №804 დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას და ახალი საკადასტრო კოდის (ს/კ #01.72.14.013.815) (400 კვ.მ) დაფიქსირებას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია ქალაქ თბილისის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 3 ივნისის №804 დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმი

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 3 ივნისის №804 დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირედეს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: #01.72.14.013.815, ფართობი 400 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882017595092; რეგისტრაციის თარიღი 26/07/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882017744100, რეგისტრაციის თარიღი 22/08/2017 წ.);
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის - სსიპ არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 3 ივნისის №804 დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.